საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო
MINISTRY OF EDUCATION AND SCIENCE OF GEORGIA

MES 8 23 0000784298

29/06/2023

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს
ტერიტორიული ორგანოს - ქალაქ ქარელის
საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსს
გიორგი კობახიძეს

ბატონო გიორგი,

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში შემოსული თქვენი N573333 22/05/2023წ. და N746269 22/06/2023წ. წერილების პასუხად, გაცნობებთ, რომ სამინისტრო არ არის წინააღმდეგი, სსიპ - ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელ საციხურის საჯარო სკოლამ, წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე, **ფინანსური შედეგების შესახებ ანგარიშგებაში (ბალანსზე) რიცხული დემონტაჟს დაქვემდებარებული, ამორტიზებული შენობების ჩამოწერა, დემონტაჟი და საბუღალტრო, სააღრიცხვო ჩანაწერებიდან მოხსნა (ძირითადი აქტივების ღირებულებასა და დაგროვილი ცვეთის და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გათვალისწინებით) განახორციელოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად,** კერძოდ, სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს შესაბამისი მომსახურების ცენტრის თანხმობისა და შესაბამისი მუნიციპალიტეტის ნებართვის საფუძველზე, ასევე, საქართველოს მთავრობის 2010 წლის 22 მარტის №82 დადგენილებით დამტკიცებული „საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლების ორგანოების, საჯარო სამართლის იურიდიული პირების, სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი სხვა ორგანიზაციების, აგრეთვე საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობებისა და საკონსულო დაწესებულებების ბალანსზე რიცხული ამორტიზებული ან გამოუყენებელი ძირითადი აქტივების ჩამოწერისა და მის შედეგად მიღებული ქონების განკარგვის წესის შესახებ“ დებულებისა და საქართველოს მთავრობის 2010 წლის 13 აგვისტოს №239 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლების, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოსათვის ან საჯარო სამართლის იურიდიული პირისათვის სარგებლობაში გადაცემული შენობა-ნაგებობების რეკონსტრუქციის, რემონტის, დემონტაჟის ან ლიკვიდაციის შედეგად მიღებული ან დემონტაჟის შედეგად მისაღები ვარგისი

ნაწილებისა და მასალების ამ ორგანოს ან საჯარო სამართლის იურიდიული პირის მიერ აღნიშნული შენობა-ნაგებობების რეკონსტრუქციის, რემონტის, დემონტაჟის ან ლიკვიდაციის ხარჯების მთლიანად ან ნაწილობრივ დაფარვის მიზნით გასხვისების ან სხვა ნებისმიერი სახით განკარგვის წესის“ გათვალისწინებით.

აქვე გაცნობებთ, რომ აღნიშნული პროცესების (ჩამოწერა/დემონტაჟი) განხორციელება წარმოადგენს იმ სახელმწიფო დაწესებულების (აღმასრულებელი, საკანონმდებლო, სასამართლო ხელისუფლების ორგანოები, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოები, საჯარო სამართლის იურიდიული პირები და სხვა საბიუჯეტო ორგანიზაციები) ვალდებულებას, რომელსაც სარგებლობაში აქვს გადაცემული ჩამოწერა/დემონტაჟს დაქვემდებარებული შენობა-ნაგებობები.

ამასთან, დემონტაჟი საჭიროა განხორციელდეს საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული „მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესისა და პირობების“ შესაბამისად, უსაფრთხოების ნორმების დაცვით.

ასევე, გთხოვთ, გაითვალისწინოთ, რომ დემონტაჟის დასრულების შემდგომ, საჯარო სკოლამ უნდა განახორციელოს ცვლილებები რეგისტრირებულ მონაცემებში (ამონაწერი საჯარო რეესტრიდან, საკადასტრო გეგმა) და ცვლილებების ამსახველი დოკუმენტაცია წარმოადგინოს სამინისტროში, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ დემონტაჟის შემდგომ დაგეგმილია მშენებლობის პროცესი, რეგისტრირებულ მონაცემებში ცვლილებები უნდა განხორციელდეს მშენებლობის პროცესის დასრულების შემდეგ და სამინისტროში წარმოდგენილ იქნას, ყველა საჭირო დოკუმენტაცია.

პატივისცემით,

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების
სამინისტრო
ეკონომიკური დეპარტამენტი
დეპარტამენტის უფროსი
ტაბატაძე მარიამ